საქართველოს რაგბის კავშირი
GEORGIA RUGBY UNION

N 946/01
12/10/2022

946-01-4-202210121425

მინდობილობა/რწმუნებულება

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (ს/კ204874911) პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე (დაბ:25.12.1976 წ, პ/ნ01024009582 (შემდგომში მოხსენებული - მარწმუნებელი) ამ მინდობილობით ბიძინა ბერიშვილს (22.02.1957წ, პ/ნ01010016482) (შემდგომში მოხსენებული - რწმუნებული) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია

აწარმოოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს სახელით კავშირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და მასზე განთავსებულ ობიექტებზე პროექტის შეთანხმებითი სამუშაოები

რწმუნებული უფლებამოსილია წარადგინოს განაცხადი, მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები, გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტაციას, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება და ისარგებლოს საქართველოს კანონდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

იოსებ ტყემალაძე

პრეზიდენტი

ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი #6, თბილისი, 0179, საქართველო
Chabua Amirejibi Highway #6, Tbilisi, 0179, Georgia
Tel.: +995 32 2204535
Fax: +995 32 2226596
office@rugby.ge
www.rugby.ge

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და საქართველოს რაგბის კავშირს შორის 2006 წლის 15 თებერვალს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი, 01 სექტემბერი, 2022 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდეგში - „გამყიდველი“) წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის, ანჟელა გაბუნიას (პ/ნ 60001145139) მიერ, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2022 წლის 2 მაისს გაცემული №4/24447 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“** (ს/კ 204874911) (შემდეგში - „მყიდველი“), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, თორნიკე გოგებაშვილის (პ/ნ 12001014781) სახით, შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და „საქართველოს რაგბის კავშირს“ შორის 2006 წლის 15 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებითა (შემდეგში - „ნასყიდობის ხელშეკრულება“) და ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ 2022 წლის 05 ივლისის №533/02 წერილით (სააგენტოში რეგ. №77544/04; 06/07.22წ.), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - „ცვლილების ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1

„ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ შეტანილ იქნას ცვლილება და „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1[1] „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურება განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ წარდგენილი შესაბამისი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ ან/და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ან/და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყების მიერ გაცემული შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე.“.

მუხლი 2

2.1 „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულებით“ შესული ცვლილებები არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2 „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტების დროს.

2.3 წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ გაფორმებულად ითვლება მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან. სანოტარო წესით დამოწმებისთვის საჭირო ხარჯები იფარება „მყიდველის“ მიერ.

2.4 „მყიდველი“ ვალდებულია დაფაროს წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულების“ გაფორმებასთან/რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის სანოტარო წესით დამოწმებისთვის საჭირო ხარჯები.

2.5 წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

„გამყიდველი”	„მყიდველი“
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“	ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“
წარმომადგენელი: ანჟელა გაბუნია	წარმომადგენელი: თორნიკე გოგებაშვილი

ორი ათას ოცდაორი წლის პირველ სექტემბერს მე, ნოტარიუსს, მარიკა გოგოლაძეს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშნებელის გამზ. #183, მომმართეს:

ანჟელა გაბუნიამ (დაბ. 04.12.1994წ. ქუთაისი, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ბროლოსანის ქუჩა, N 25/31, ბინა 10.** პ/ნ60001145139, 13IB72121 გაც. 05.09.2013წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ)

თორნიკე გოგებაშვილმა (დაბ. 16.01.1989წ. თბილისი, მისამართი: **თბილისი არჩილ ცაგარელის ქ. N 71 ბ. 17.** პ/ნ12001014781, 20IC78551 გაც. 08.02.2022წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ)

მათ მოითხოვეს წარმოდგენილ **ხელშეკრულებაზე** ნოტარიატის შესახებ "საქართველოს კანონის 38-ე მუხლის „ზ" პუნქტისა და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე. შევამოწმე ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მე, მათ განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე, დამოწმებისას ნოტარიუსი, ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ოცდაოთხი ლარი + დღგ ოთხი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი, + ხუთი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოცდაცამეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31, 39 და სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221137952
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.09.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	66412057751722

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18